



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ბეჭდური მედიის მონიტორინგი წინასაარჩევნო ანგარიში

1 სექტემბერი - 15 ოქტომბერი, 2020



INTERNEWS
GEORGIA

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიშის შინაარსი შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციას.

სარჩევი

პროექტის შესახებ	3
მონიტორინგის მეთოდოლოგია	3
1 სექტემბერი - 15 ოქტომბრის პერიოდში გაზეთების მონიტორინგმა შემდეგი შედეგები გამოავლინა:	4
გაზეთი „რეზონანსი“	5
გაზეთი „ახალი თაობა“	6
გაზეთი „ასავალ-დასავალი“	8
გაზეთი „კვირის პალიტრა“	10
გაზეთი „ქრონიკა +“	11
გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“	13
გაზეთი „ალია“	15
გაზეთი „გურია News“	17
გენდერულად სენსიტიური გაშუქება	19
დასკვნა	20

პროექტის შესახებ

„ინტერნუსი - საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ - ფარგლებში, ბეჭდურ მედიას აკვირდება. მონიტორინგი 2020 წლის 15 ივნისს დაიწყო.

დაკვირვება ხორციელდება 8 გამოცემაზე: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ქრონიკა+“, „საქართველო და მსოფლიო“, „გურია news“.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

ბეჭდური მედიის მონიტორინგის მიზანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდება წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება.

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი, გაშუქების ტონი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი), სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი). თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია: ფაქტების დროული გაშუქება, ინფორმაციის დამახინჯება, დაუბალანსებელი გაშუქება, ტენდენციურობა, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, ფოტოთი მანიპულირება, ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვა, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ფაქტი, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება პარტიებზე და პოლიტიკოსებზე, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობენ. მონიტორინგის სუბიექტები ასევე არიან: მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის), პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი.

მონიტორინგი უტარდება არა მხოლოდ საარჩევნო თემაზე მომზადებულ სტატიებს, არამედ ყველა მასალას, სადაც საუბარია მონიტორინგის სუბიექტებზე.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 1 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდის ბეჭდური მედიის მონიტორინგის შედეგებს.

1 სექტემბერი - 15 ოქტომბრის პერიოდში გაზეთების მონიტორინგმა შემდეგი შედეგები გამოავლინა:

- წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით მოიმატა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების გაშუქებამ;
- გამოცემები ნაკლებად აშუქებდნენ პარტიების საარჩევნო პროგრამებს, თუმცა მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა პოლიტიკოსთა მოსაზრებებსა თუ განცხადებებს, ინფორმაცია მიეღო მათ ცალკეულ აქტოვობებზე;
- გაზეთების უმრავლესობა თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდა;
- გაზეთების ნაწილი კვლავაც დაუბალანსებელ, ერთ წყაროზე მომზადებულ მასალებს ამზადებდა;
- პრობლემად რჩება გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება: ზოგიერთი გამოცემა არ ერიდებოდა მტკიცებულებების გარეშე ამა თუ იმ პოლიტიკოსის მისამართით მძიმე ბრალდების წაყენებას. უმეტეს შემთხვევაში გადამოწმების გარეშე შუქდებოდა რესპონდენტთა ბრალდების შემცველი განცხადებებიც;
- გამოცემების ნაწილი კვლავაც იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას;
- წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, თითქმის აღარ გვხვდება შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული შინაარსის ფოტოები;
- წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით თითქმის არ დაფიქსირებულა შემთხვევები, რომლებიც გენდერული სტერეოტიპების გამყარებას უწყობენ ხელს.

გაზეთი „რეზონანსი“

ყოველდღიური გაზეთი „რეზონანსი“ ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს აქტიურად აშუქებდა. გამოცემა პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკურ და სოციალური თემებსაც უთმობდა ადგილს. სტატიებში რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკოსის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ შეინიშნებოდა.

გაზეთმა „რეზონანსმა“ ყველაზე მეტად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (24%), მთავრობა და პრემიერი (ჯამში 32%) გააშუქა. 10% დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, ხოლო 7-7% - „ევროპულ საქართველოსა“ და ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკური გაერთიანებების გაშუქება 4%-ს არ აღემატებოდა.

საანგარიშო პერიოდში „რეზონანსს“ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები არ გაუშუქებია, თუმცა მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა პოლიტიკოსთა მოსაზრებებსა თუ განცხადებებს, ინფორმაცია მიეღო მათ ცალკეულ აქტოვობებზე: პარტიული სიების წარდგენა, პრემიერობის კანდიდატების დასახელება; გაშუქდა პარტიული აქტივისტების ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები; გამოცემა პოლიტოლოგებთან და ანალიტიკოსებთან ინტერვიუებში მიმოიხილავდა საარჩევნო პროცესებს, შეფასებული იყო საარჩევნო გარემო, პარტიების სტრატეგია, კეთებოდა პროგნოზები.

გამოცემა დაბალანსებულია. ჟურნალისტები რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ. ისინი აშუქებდნენ როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მოსაზრებებს. სუბიექტები, საშუალოდ, 80% ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, მთავრობის მიმართ გამოვლენილი დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი (12%) მეტწილად, შინაგან საქმეთა სამინისტროს და მინისტრის აქტივობების გაშუქებამ გამოიწვია.

პოლიტიკური სუბიექტების მიმართ დადებითი ან უარყოფითი განცხადებები იშვიათად, ისიც მხოლოდ რესპონდენტებისგან ისმოდა. მაგალითად: „მელას რაც ელანდებოდაო - ასეთი რამ გამოსდის ვაშაძეს. მისი ფიგურა ნამდვილად არ იქნება გამაერთიანებელი“ (ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან, 3.09, გვ. 3); „გახარიას საუბრის უნარი ნამდვილად აქვს, შეიძლება ითქვას არტისტი მეგრელია“ (ინტერვიუ ანალიტიკოს არჩილ გამზარდიასთან“, 14.09, გვ. 3); „ივანიშვილის მსგავსი დემოკრატი მმართველი საქართველოს არც ჰყოლია და არც ეყოლება“ (თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, 16.09, გვ.5).


გაზეთი წყაროების და თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით ხშირად შუქდებოდა კოვიდ-19-თან დაკავშირებული ინფორმაცია: ინფიცირების შემთხვევების მატების სტატისტიკა, სპეციალისტების მოსაზრებები, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შედეგები. ინფორმაციები სპეციალისტების შეფასებებით და სტატისტიკური მონაცემებით იყო გამყარებული.

გამოცემა ასევე აქტიურად აშუქებდა სომხეთ-აზერბაიჯანის შეიარაღებულ კონფლიქტს და მის შესაძლო გავლენას საქართველოზე. მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მოსაზრებებს გაცნობოდა.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "რეზონანსი"

1 სექტემბერი - 15 ოქტომბერი, 2020



გაზეთი „ახალი თაობა“

ყოველდღიური გაზეთი „ახალი თაობა“ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. შუქდებოდა ეკონომიკური და სოციალური თემებიც. გამოცემა მეტ-ნაკლებად დაბალანსებული იყო, სუბიექტების გაშუქებისას არ გვხვდებოდა ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (24%) გაშუქდა, მმართველი პარტიის წარმომადგენლების ინტერვიუებსა და კომენტარებს გამოცემა ადგილს ნაკლებად უთმობდა. ამ კუთხით ბალანსი ოპოზიციური პარტიებისკენ იხრებოდა. სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი ფართის 13% „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ მოდიოდა, 9% - „ევროპულ საქართველოზე“, ხოლო 5% „ლელო საქართველოსთვის“ დაეთმო. სხვა პოლიტიკური გაერთიანებების გაშუქება 4%-ს არ აღემატებოდა.

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, სუბიექტები საშუალოდ 70% ნეიტრალურად გაშუქდნენ, ხოლო ყველაზე მაღალი (51%) უარყოფითი ტონი „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა. სუბიექტების უარყოფით ტონს, უმეტესწილად, რესპონდენტთა და ერთმანეთის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსების განცხადებები განსაზღვრავდა და არა ჟურნალისტთა კომენტარები. თუმცა, ზოგჯერ ჟურნალისტთა კითხვა/კომენტარებიც მიკერძოებელი იყო. მაგალითად: „ანუ იქნება პური და სანახაობა? ამას გვთავაზობს ივანიშვილი?“ (5.10., გვ.2); „გიორგი ვაშაძის „ფენომენზე“ რას იტყვით?... ახალგაზრდულ ასაკში ჰილარი კლინტონის მოწონებული იუსტიციის სახლი გააკეთა და წარმოიდგინეთ ახლა რას იზამს ხალხთან ერთადო!“ (6.10., გვ. 4); „მმართველი პარტიის მხრიდან თავის მოსაწონებელი განცხადებები გრძელდება...“ (29.09., გვ.4); „ამ ფონზე, როცდესაც ხელისუფლება ამდენს ბედავს, ოპოზიცია რატომ აძლევთ მათ კოზირებს ერთმანეთთან დაპირისპირებით?“ (28.09., გვ 3).


წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, მთავრობის გაშუქების 10%-იანი დადებითი ტონი შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტივობების გაშუქებამ განაპირობა.

გამოცემას პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები არ გაუშუქებია, თუმცა სხვადასხვა საარჩევნო თემა აქტიურად შუქდებოდა: მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა ექსპერტთა პროგნოზებსა და მოსაზრებებს შესაძლო ალიანსების, ხმების განაწილებისა და არჩევნების შედეგების შესაძლო გაყალბების შესახებ.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ახალი თაობა"

1 სექტემბერი - 15 ოქტომბერი, 2020



გაზეთი „ასავალ-დასავალი“

ყოველკვირეული გაზეთი „ასავალ-დასავალი“ თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდა. გამოცემაში მრავლად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტების და ეთიკის ნორმების დარღვევის, სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.

საანგარიშო პერიოდში გამოცემამ ყველაზე მეტად ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გააშუქა. მათზე მონიტორინგის სუბიექტებისთვის მთლიანობაში დათმობილი ფართობის 19-19% მოდიოდა. მათ 15%-ით მოჰყვება „ქართული ოცნება“, 13%-ით - „ლელო საქართველოსთვის“ და 11%-ით - „ევროპული საქართველო“. არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკური გაერთიანებების გაშუქების მაჩვენებელი ბევრად ნაკლები იყო და 2% არ აღემატებოდა. შედარებით ვრცლად (მთლიანი ფართის 5%) გაშუქდა „ქართული მარშის“ აქტივობები.

მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების ტონი, უმეტეს შემთხვევებში (საშუალოდ 90%), უარყოფითი იყო. მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ვლინდებოდა როგორც რესპონდენტთა განცხადებებში, ასევე ჟურნალიტთა ტექსტებშიც. კრიტიკული, მწვავე და ხშირ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი განცხადებები უფრო მეტად მიხეილ სააკაშვილის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ მისამართით კეთებოდა. მაგალითად, სტატია სათაურით „ერთთავიანი დევი და ნანუკანალისკენ წასული ნაცმოძრაობა“: „ძვირფასმა წყალტუბოელებმა, სამტრედიელებმა, ვანელებმა და ხონელებმა უნდა იცოდნენ: მათ ნაციონალურმა მოძრაობამ პუჩისტი გენერლის კანდიდატურა მაროდორი ნაცჟურნალისტის კანდიდატურით შეუცვალა!“ (28.09-4.10, გვ 2-3); „დიახ, პირველად თავის აქოთებულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ბოკერიამ ეროვნული დროშა გამოაჩინა!“ (12-27.09, გვ.17); სტატია „ვაგალებ მიშას“: „მოაშოროს ძველ თბილისს „საკაშვილის პამპერსად“ წოდებული შუშის ხიდი, რომელიც დედაქალაქის არქიტექტურული ანსამბლიდან აბსოლუტურად ამოვარდნილია და მის ისტორიულ იერსახეს ისე ამახინჯებს, როგორც რომან გოცირიძე - საქართველოს პარლამენტს და ნიკა გვარამია - ქართულ ტელევიზორებს!“ (21-27.09, გვ. 2-3).

საანგარიშო პერიოდში ბევრი მასალა მიემდგნა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერ მამუკა ხაზარაძეს. სტატიებსა და ინტერვიუებში მის მიმართ უარყოფით განწყობას (95%) გამოხატავდნენ როგორც ჟურნალისტები ასევე რესპონდენტები. მაგალითად, სტატია „ხმა მიეცი ხაზარაძეს! მოუქნიე კოსტავას!“: “წარმოვიდგინოთ, რომ მამუკა ხაზარაძე არც „ტუალეტის მჯღაზნელებისა“ და „უბორნიის პოეტების“ ფინანსური დონორი ყოფილიყო“, „ქართველ ამომრჩეველს მამუკა ხაზარაძისა და მისი პარტიისათვის ხმის მიცემაც ეყოფა, რომ მერაბ კოსტავასათვის ხელის მოქნევის თანაავტორი გახდეს!“ (12-18.10, გვ.4); სტატია „მამუკა-სერგო ორჯონიკიძე!“: „შენი უბადრუკი და მხოლოდ ადამიანების ძარცვისათვის მომართული ცხოვრების განმავლობაში ერთხელ მაინც გიფიქრია 6 ათასი მოწამე ბერის წმინდა სისხლით მორწყულ დავით-გარეჯზე?“ (12-18.10, გვ.6).

გაშუქების უარყოფითი ტონი სჭარბობდა მმართველი გუნდის შემთხვევაშიც, თუმცა წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, უმეტესწილად,

დადებით (68%) და ნეიტრალურ (28%) კონტექსტში გაშუქდა. მაგალითად, სტატიაში „გიორგი გახარია და „ქართული ოცნების“ ქოცეული“ ჟურნალისტი აკრიტიკებს მმართველი გუნდის მიერ წარმოდგენილი საარჩევნო სიას, მაგრამ პრემიერის მიმართ აღფრთოვანებას ვერ მალავს: „ვფიქრობთ, რომ „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი პირველი ქოცეული სხვა არაფერია, თუ არა წინასწარი კაპიტულაცია და თავიდანვე წაგებულ თამაში, რაც ოთხი წლის შემდეგ ნაცების „მეორედ მოსვლაზე“ გათვლილი“... „საგურამოდან მთაწმინდამდე ასვლა ილიამ სიცოცხლის შემდეგ შეძლო! ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვიტყვით, რომ გახარიამ ეს ქართველი ხალხის სიყვარულით სიცოცხლეშივე მოახერხა“ (14-20.09, გვ 2-3).


გამოცემა დაუბალანსებელია: მოვლენები ცალმხრივად შუქდებოდა, მკითხველს შესაძლებლობა არ ჰქონდა გაცნობოდა განსხვავებულ მოსაზრებებს. „ასავალ-დასავალში“ მრავლად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტების და ეთიკის ნორმების დარღვევის, სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები. გამოცემა არ ერიდებოდა დაუსაბუთებელ მსჯელობას და შურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა გენდერულად სენსიტიური გაშუქების შემთხვევა, როცა „ქალი“ კაცი პოლიტიკოსის შურაცხყოფისთვის გამოიყენება. მაგალითად, სტატია „ასპარეზზე გამოდის ნაციანალურ-რესპუბლიკური კოალიცია!“: „რაც მთავარია, ეს ის რესპუბლიკური პარტიაა, რომლის ლიდერი „დები ბერძენიშვილები“ ჯერ კიდევ ქოცხელისუფლებაში ყოფნისას ტელეკამერების წინ აფრიალებდნენ ლგბტ დროშას?!“ (21-27.09, გვ.9).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ასავალ-დასავალი"

1 სექტემბერი - 15 ოქტომბერი, 2020



გაზეთი „კვირის პალიტრა“

ყოველკვირეული გაზეთი „კვირის პალიტრა“ თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. იგი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აქტიურად აშუქებდა. გამოცემაში რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკოსის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ შეინიშნებოდა.

საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტებიდან ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (25%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (12%) და „ლელო საქართველოსთვის“ (10%) გაშუქდნენ. სხვა პოლიტიკური გაერთიანებებისთვის დათმობილი ფართობი, საშუალოდ, 4%-ს არ აღემატებოდა. სუბიექტების გაშუქების საშუალოდ 58% ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა. მათ მიმართ გამოვლენილ უარყოფით ტონს, უმეტესწილად, პოლიტიკოსთა ერთმანეთის მიმართ გამოთქმული კრიტიკული განცხადებები განაპირობებდა.

„კვირის პალიტრა“ თემების, ინფორმაციის წყაროთა და რესპონდენტთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა: ექსპერტებთან ინტერვიუებში განიხილებოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები. მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებებსაც.


გაზეთს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები და წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა არ გაუშუქებია, თუმცა მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში აქტიურად ჩართულ პარტიებსა და პოლიტიკოსებს რუბრიკებში „კვირის თემა“ და „პოლიტიკური ლაბირინთი“ ეთმობოდათ ადგილი. მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა მათ მოსაზრებებს გაცნობოდა.

გამოცემა დაბალანსებული და მიუკერძოებელია. ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ, არ იყენებდნენ სიძულვილის ენას და ხელს არ უწყობდნენ სხვადასხვა სახის სტერეოტიპების გავრცელებას.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "კვირის პალიტრა"

1 სექტემბერი - 15 ოქტომბერი, 2020



გაზეთი „ქრონიკა +“

ყოველკვირეული გაზეთი „ქრონიკა+“ მმართველი პარტიის გაშუქების მაღალი უარყოფითი ტონით გამოირჩეოდა. სუბიექტების გაშუქებისას გვხვდებოდა ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. გამოცემა არ ერიდებოდა მიკერძოებული და შურაცხმყოფელი შეკითხვების დასმას.

საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტად „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ (27%) გაშუქდა. მას 9%-ით მოჰყვება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 8% აქვს „სტრატეგია აღმაშენებელს“, ხოლო 6% - „ლეიბორისტულ პარტიას. სხვა პოლიტიკური გაერთიანებებისთვის დათმობილი ფართი, უმეტეს შემთხვევაში, 4% არ აღემატებოდა. სუბიექტები, საშუალოდ, 70% ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ, გამონაკლისს წარმოადგენდა „ქართული ოცნება“, რომლისთვის დათმობილი ფართობის 86% უარყოფით გაშუქებაზე მოდიოდა. ამის მიზეზი როგორც ჟურნალისტების, ასევე ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი რესპონდენტების განცხადებები იყო.

გამოცემა მმართველი პარტიისა და გუნდის კრიტიკას არ ერიდებოდა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ჟურნალისტების ტექსტი მიკერძოებული და სუბიექტური იყო. მაგალითად: „ბევრის აზრით ინფიცირებულთა რაოდენობა იმიტომ იზრდება, რომ ხელისუფლებას საარჩევნოდ ქვეყნის ჩაკეტვა სურს“ (15.09, გვ.30); „ქართულ ოცნებას გაფრთხილების მიღების არაფერი ეტყობა, ძალიან თავხედურად იქცევა. ისევ იმას ამბობს, რომ არჩევნების უმრავლესობას ის აიღებს... ოპოზიციის და ხალხის რა გითხრათ, მაგრამ ხელისუფლებაში ისევ ოცნება თუ დარჩა, ისინი ნამდვილად კარგად იქნებიან. ახლაც სერიოზული კრიზისია, მაგრამ თავს ძალიან ლაღად გრძნობენ“ (22.09., გვ.25); „ის, რომ „ოცნებას“ მთელი სახელმწიფო მანქანა უზურპირებული აქვს, ყველამ ვიცით...“ (13.10, გვ.33);

ჟურნალისტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ზოგჯერ არაეთიკური იყო, შეურაცხყოფისთვის გამოიყენებოდა ტერმინები: ქოცები, გაქოცება, ევრონაცები. მაგალითად: „სია მართლაც გასაოცარი იყო, ისეთი გასაოცარი, რომ თვით მამალი ქოცებიც კი გაოგნდნენ“ (15.09, გვ.10); „ქართულმა ოცნებამ“ ბევრ ყველა გაგების ბოზს აუხდინა ოცნება“ 13.10, გვ.14); „რიგით ქოცებს რომ ეთქვათ, საჩხერის მოდელია მისაბადიო, კიდევ არ გაგვიკვირდებოდა, მაგრამ პრემიერ გიორგი გახარიას რაღა დაეტაკა? განათლება „მოსკოვებში“ მიიღო, „ევროპებშიც“ აქვს ნამუშევარი და საჩხერეზე უკეთესი ვერსად ვერაფერი ნახა?“ (06.10, გვ.6).

სახელისუფლებო გუნდის მიმართ მწვავე განცხადებებით რესპონდენტებიც გამოირჩეოდნენ. მაგალითად: „როგორც თავის დალალებს ვერ დაინახავს კობახიძე უსარკოდ, ისე ვერ დაინახავს მომავალ პარლამენტში „ქართული ოცნების“ 100-კაციან შემადგენლობას“, „ბიძინამ რომ თქვას, „ოცნების“ 99% ჩაიხდის“ (ინტერვიუ „ლეიბორისტული პარტიის“ წევრ გიორგი გუგავასთან, 16.10., გვ.7).

გაზეთი იშვიათად, თუმცა ყოველთვის უარყოფით კონტექსტში აშუქებდა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს. მაგალითად, 15 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ტაშტი, ბაბო!“ ვკითხულობთ: „ვინ წარმოიდგენდა, რომ აი, ის კდემა, ემიგრანტების


ჩამომავალი სალომე ზურაბიშვილი, სალომე ქართველის ნიკს ამოფარებული რომ გულმხურვალედ და აღტკინებით, მეტიც: ახუნტრუცებით რომ მიესალმებოდა კანონიერი, ხალხის მიერ ერთსულოვნად არჩეული ხელისუფლების იარაღის ძალით და რუსეთის შემწეობით დამხობას, რომ ახლა, აგერ ტაშტმომარჯვებული და ამ ყურძნიანი ტაშტის სიმძიმით წელში მშვილდდევით მოხრილი, ადადანებულ „იუბკაში“ გამოწყობილი თუ გვახარებდა ალუჩა-ტყემლის კი არა, ყურძნის შემოსვლას“. სტატიაში მრავლადაა შეურაცხყოფელი გამონათქვამები, რომლებიც გენდერული კუთხითაც იქცევს ყურადღებას, რადგან ქალი პოლიტიკოსის იმიჯს ლახავს.

ზოგ შემთხვევაში არაეთიკური გამოთქმები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მისამართითაც გამოიყენებოდა. მაგალითად: „ძალა ერთობაშია კი არა, ძალა ფულშია“ - რა თანხა გადაიხადეს მილიონერებმა სიაში მოსახვედრად?“ , „გრიგოლ ვაშაძემ დაიგინა, რომ გუბაზ სანიკიძე საარჩევნო სიაში არ მოხვდებოდა“ (06.10, გვ.2).

გამოცემაში გვხვდება დაუსაბუთებელი მსჯელობის, მოვლენების ცალმხრივად, სუბიექტურად გაშუქების შემთხვევები, ასევე შეურაცხყოფელი ტერმინოლოგია და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ქრონიკა+"
1 სექტემბერი - 15 ოქტომბერი, 2020



გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“

ყოველკვირეული გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ახალი ამბების და პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო აქტივობებს ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესების გაშუქება, ძირითადად, საერთაშორისო ურთიერთობათა ჭრილში ხდებოდა. გამოცემა პრორუსული და ანტიდასავლური განწყობით გამოირჩევა.

გამოცემამ მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტად „პატრიოტთა ალიანსი“ (29%) „ქართული ოცნება“ (23%) და დიდუბე-ჩუღურეთის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძე (11%) გააშუქა. არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკური სუბიექტებიდან, მთლიანობაში მათთვის დათმობილი ფართის, 2%-ზე მეტი (7-7%) მხოლოდ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ იდეას“ დაეთმო.

გაზეთი თითქმის ყველა პოლიტიკურ ძალას მკვეთრად ურაცოფითად წარმოაჩენდა. გამონაკლისს წარმოადგენდნენ: „პატრიოტთა ალიანსი“, დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძე და „ქართული იდეა“, რომელთა გაშუქების უდიდესი წილი ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის მიმართ არ დაფიქსირებულა.

მმართველი გუნდი, ისევე როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი როგორც ჟურნალისტების, ასევე რესპონდენტების მხრიდან მწვავე კრიტიკის ობიექტი იყო, რამაც მათი გაშუქების მაღალი ურაცოფითი ტონი განაპირობა.

პოლიტიკური პარტიების კონკრეტულ აქტივობებს და საარჩევნო დაპირებებს გამოცემა ნაკლებად აშუქებდა. გამონაკლისს წარმოადგენდნენ მარტვილი-ჩხოროწყუ-წალენჯიხა-აბაშის ოლქში „პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვიქტორ ცაავა და დიდუბე-ჩუღურეთის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძე. რუბრიკაში „დეპუტატობის კანდიდატი“ მათ მოსაზრებებს გამოცემა ხშირად აშუქებდა. კანდიდატებს შესაძლებლობა ჰქონდათ ვრცელ ინტერვიუებში დაეფიქსირებინათ თავიანთი შეხედულებები. გაზეთი მათ, უმეტესად, დადებითად წარმოაჩენდა: „ვიქტორ ცაავასნაირი დეპუტატობის კანდიდატი ჯერ არ ჰყოლია აბაშის რაიონს. მას გულთან მიაქვს ყველას პრობლემა, გვერდს არ აუვლის ადამიანს ისე რომ არ მოიკითხოს, არ დაელაპარაკოს... ვიქტორ ცაავა უკვე შეიყვარა ხალხმა“ (30.09-06.10, გვ. 3); „დიმიტრი ლორთქიფანიძე ერთ-ერთია კონსერვატიული ფლანგიდან დასახელებული იმ რამდენიმე პრინციპული და არსებული გამოწვევების წინაშე უკომპრომისოდ მებრძოლი პიროვნებებიდან, რომლებმაც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი რეალური ალტერნატივის მომლოდინე საზოგადოებას შეიძლება გაუჩინოს არჩევნებზე წასვლის სურვილი“ (30.09-06-10. გვ 5).

7-13 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუასთან, სადაც ის თავიანთ საარჩევნო პროგრამაზე საუბრობს.

საარჩევნო თემატიკაზე ასევე ქვეყნდებოდა სტატიები, სადაც განხილული იყო საარჩევნო გარემო, პარტიული სიები, პარტიების გამარჯვების შანსები და ა.შ.


„საქართველო და მსოფლიო“ მკაფიოდ პრორუსული გაზეთია. ანალიტიკური სტატიები და ინტერვიუები ანტიევროპული და ანტიამერიკული აზრის გამტარებელია.

ანალიტიკურ სტატიებში ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, მთავრობისა და მმართველი პარტიის აქტოვობები საქართველო-ამერიკის და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ჭრილში იყო განხილული და შეფასებული. მაგალითად, სტატია „დეგნანი - რუსეთს: ჩემი შენ გითხარიო... ქართველ ხალხს არჩევანი შესაძლოა თავზე გადაახიონ“: „თუ არჩევნების შედეგები დასავლეთს არ მოეწონება, აუცილებლად შეეცდებიან პროცენტების გადაწერას და შემდეგ იმას იტყვიან, რომ აგერ რუსეთი ჩაერია საქმეში... არჩევნების შედეგი კი არა, საქართველოს უზენაესი კანონი გადაგვახიეს სულ ცოტა ხნის წინათ თავზე და გვერწმუნეთ, თუ მოინდომებენ, არჩევნების შედეგებსა და საარჩევნო კოდექსაც სულ ფურცელ-ფურცელ გადაგვახევენ“ (30.09-06.10, გვ. 4); სტატია „ჩვენი „დამოუკიდებელი“ ქვეყანა იმაზე დამოკიდებული როგორ გუნებაზე გაიღვიძებს ამერიკის ელჩი. დასავლელ „პარტნიორებს“ არ სურთ, რუსეთთან სასაუბროდ პირისპირ დაგვსვან“: „არჩილ თალაკვაძის განცხადებით, მოლაპარაკებებისთვის დღეს გვაქვს „ჟენევის ფორმატი“, საერთაშორისო ფორმატები, სადაც ჩვენ გვაქვს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობა...“ არც ერთ ჟურნალისტს თავში აზრად არ მოსვლია, თალაკვაძისთვის ეკითხა - რომელი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვიტეს თუნდაც ჟენევის ფორმატში... არადა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ბოლო ორ კვირაში მეორედ განგვიცხადა,- მოლაპარაკებების მაგიდას მივუსხდეთო, მაგრამ ჩვენ უარს ვამბობთ, რადგან ამის უფლებას დასავლელი „სტრატეგიული“ პარტნიორები არ გვაძლევენ“ (23-29.09 გვ. 8).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"

1 სექტემბერი - 15 ოქტომბერი, 2020



გაზეთი „ალია“

ყოველკვირეული გაზეთი „ალია“ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. თუმცა, საარჩევნო თემებს, პოლიტიკური პარტიების აქტივობებსა თუ პროგრამებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. გამოცემა თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდა. მაგრამ შენარჩუნდა დადებითი ტენდენცია - იკლო სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებმა.

საანგარიში პერიოდში „ალიამ“ ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (36%), „პატრიოტთა ალიანსი“ (15%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (14%) გააშუქა. არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკური გაერთიანებებიდან 3%-ზე მეტი არც ერთს დათმობია.

სუბიექტების გაშუქების ტონი უმეტესწილად უარყოფითი იყო, გამონაკლისს წარმოადგენდა „პატრიოტთა ალიანსი“. საანგარიშო პერიოდში, გაზეთი აქტიურად აშუქებდა „პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს. მათთან ინტერვიუებში, ხშირ შემთხვევაში, ჟურნალისტის სუბიექტური დამოკიდებულება იგრძნობოდა. მაგალითად: „მე რომ ვიყო გლდანის მაცხოვრებელი მხოლოდ შენ მოგცემდი ხმას და მიწა გისურვო წარმატება უკომპრომისო, უთანასწორო ბრძოლაში... დიდი მადლობა შენს ოჯახს, ასეთად რომ გაგზარდა“ (ინტერვიუ გლდანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ მერაბ ჭიქაშვილთან, 28.09-4.10, გვ. 8); „თუ ვინმეს აჭარაში, კერძოდ კი ბათუმის უზენაეს საბჭოში წესიერი, თავმდაბალი, ზრდილი და პატრიოტი დეპუტატი უნდა რომ ჰყავდეს არჩევნებზე ხმა უნდა მისცეს ჯუმბერ ტაკიძეს!!“ (ინტერვიუ აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატ ჯუმბერ ტაკიძესთან, 5.10-11.10, გვ. 11); „მას ყველა იცნობს როგორც პროფესიონალ, გულისხმიერ და პრინციპულ ადამიანს!“ (ინტერვიუ სამგორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გურამ ნიკოლაიშვილთან, 12.10-18.10, გვ. 7)

გამოცემის სტატიები უმეტესწილად დაუბალანსებელი იყო და მოვლენები ცალმხრივად შუქდებოდა. ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას და როგორც მმართველი გუნდის, ასევე პოლიტიკური პარტიების მისამართით ბრალდების წაყენებას, რომლებიც ფაქტებით გამყარებული არ იყო. ზოგ შემთხვევაში, ჟურნალისტთა გამონათქვამები მიკერძოებულთან ერთად შურაცხმყოფელიც იყო: „ბიჭო ალუჩა კი არა და არჩილ... ხომ გემიანია იმ დედამო..მა არ გაიგოს შენი არაოფიციალური გოლდქარდის შესახებ“ (5.10-11.10, გვ. 4); „კორუფციის უამრავი ფაქტი დაიდო, კონკრეტული პირები იგებენ ტენდერებს, გამარტივებული შესყიდვის წესით უფორმებენ სახელმწიფო სტრუქტურები კონტრაქტებს, ურიცხავენ მილიონებს და მერე ეს პირები ქართულ ოცნებას სწირავენ თანხებს. ამნაირმა ვირთხებმა გამოჭამეს ბიუჯეტი“ (28.09-4.10, გვ. 3).

გამოცემაში კვლავ გვხვდება საექვო წყაროებზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები: ხშირად იბეჭდება სტატიები „ქართული ოცნების“ კულუარებში მიმდინარე პროცესებზე, რომელთა წყარო „ოცნების მაღალჩინოსანი“, „ოცნების ექსპერტი“ ან „მაღალი თანამდებობის პირია“.

„ალიაში“ ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს კვლავაც წარმოადგენდა სოციალური ქსელის სტატუსები: ქვეყნდებოდა როგორც საზოგადოებისთვის ცნობილი,

ასევე რიგითი მოქალაქეების პოზიცია სხვადასხვა, მათ შორის პოლიტიკურ თემებზეც. ზოგჯერ, ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ მათში გამოთქმული მოსაზრებები არაეთიკური და შეურაცხმყოფელიც კი იყო.


მონიტორინგი ასევე შეეხო გაზეთის ბოლო გვერდზე გამოქვეყნებულ პოლიტიკოსთა ფოტოებიან კროსვორდებს, სადაც შეკითხვა-ლექსები მათ მიმართ შეურაცხმყოფელ გამოთქმებს შეიცავდა.

გამოცემა დაუბალანსებელია, ხშირ შემთხვევაში მოვლენები ცალმხრივად, სუბიექტურად შუქდება და ფაქტებით გამყარებული არ არის. გვხვდება შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ალია"

1 სექტემბერი - 15 ოქტომბერი, 2020



გაზეთი „გურია News“

ყოველკვირეული გაზეთი „გურია ნიუსი“, ძირითადად, რეგიონის ახალ ამბებს აშუქებდა. გამოცემა ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ ნეიტრალური განწყობით გამოირჩეოდა, დაბალანსებული იყო და სხვადასხვა მხარეთა პოზიციებს წარმოაჩენდა.

საანგარიშო პერიოდში გამოცემამ ყველაზე მეტად ადგილობრივი მთავრობა (24%) და მთავრობა (15%) გააშუქა. არჩევნებში მონაწილე პარტიებიდან ყველაზე მეტად „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ (11%) გაშუქდა, მას 9%-ით მოჰყვება „ევროპული საქართველო“, ხოლო 7%-ით „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“. მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი ფართის 6-6% დაეთმოთ პოლიტიკურ გაერთიანებებს: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „პროგრესი და თავისუფლება“ და „ლელო საქართველოსთვის“.


გამოცემა რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ინფრასტრუქტურულ და სხვადასხვა სოციალურ პრობლემებს. საკითხების გაშუქებისას წარმოდგენილი იყო როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის და ადგილობრივი მოსახლეობის კრიტიკული კომენტარები. ადგილობრივი მთავრობის 29%-იანი უარყოფითი ტონი, უმეტესწილად, სწორედ რესპონდენტთა განცხადებებმა და საკრებულოს სხდომების ჩანაწერების გამოქვეყნებამ განაპირობა. ჟურნალისტების მხრიდან რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ დაფიქსირებულა და ბალანსი, უმეტესწილად, დაცული იყო.

„გურია ნიუსი“ საარჩევნო თემებსაც აქტიურად აშუქებდა. 12-18 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია გურიის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების შესახებ. ამავე ნომერში პროექტის „ვითხოვთ პასუხს“ (ხორციელდება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით) ფარგლებში, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი იყო 7 კანდიდატის ხედვები და გეგმები. მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა მათი რეგიონის მუნიციპალიტეტებისთვის აქტუალურ, მნიშვნელოვან საკითხებზე (სკოლამდელი განათლება, მიგრაცია რეგიონიდან, სოფლის მეურნეობა, ხარისხიანი სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა) კანდიდატების მოსაზრებებს გაცნობოდა.

5-11 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა დეტალური ინფორმაცია იმ პროცედურების შესახებ, რომელთა დაცვა აუცილებელია კენჭისყრის დღეს კოვიდინფექციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

„გურია ნიუსი“ მიუკერძოებლად და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით მუშაობდა. გამოცემაში არ გვხვდება სუბიექტური, გადაუმოწმებელი და დაუსაბუთებელი ინფორმაციები.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%) გაზეთი "გურია News" 1 სექტემბერი- 15 ოქტომბერი, 2018




გენდერულად სენსიტიური გაშუქება

პროექტის ფარგლებში დაკვირვების ქვეშ მყოფ ბექდურ გამოცემებში საარჩევნო თემების მონიტორინგისას დაკვირვება გენდერული ნიშნით სენსიტიურ გაშუქებაზეც ხდებოდა. ყურადღება ექცეოდა ისეთ გაშუქებას და ტერმინების გამოყენებას, რომელიც საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს აძლიერებს.

ქალი პოლიტიკოსების და ქალი კანდიდატების გაშუქებას გაზეთებში მცირე ადგილი ეთმობოდა.

გაზეთებში სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით(%)
1 სექტემბერი - 15 ოქტომბერი, 2020



წინა სანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით ბექდურ მედიაში თითქმის არ დაფიქსირებულა შემთხვევები, რომლებიც გენდერული სტერეოტიპების გამყარებას უწყობენ ხელს.

გამოვლინდა მხოლოდ ორი შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტმა „ქალი“ პოლიტიკოსი კაცის შეურაცხყოფისთვის გამოიყენა და ასევე ჟურნალისტის მიერ პრეზიდენტის მისამართით გაკეთებული შეურაცხყოფელი გამონათქვამები, რომლებიც მისი, როგორც ქალი პოლიტიკოსის იმიჯის შელახვას ისახავდა მიზნად.

დასკვნა

საარჩევნო კამპანიის აქტიურ ფაზაში შესვლასთან ერთად მოიმატა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების გაშუქებამ. გამოცემები ნაკლებად აშუქებდნენ მათ საარჩევნო პროგრამებს, თუმცა მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა პოლიტიკოსთა მოსაზრებებსა თუ განცხადებებს, ინფორმაცია მიეღო მათ ცალკეულ აქტოვობებზე: პარტიული სიების წარდგენა, პრემიერობის კანდიდატების დასახელება; პოლიტოლოგებთან და ანალიტიკოსებთან ინტრევიუებში მიმოხილული იყო საარჩევნო პროცესები, ფასდებოდა საარჩევნო გარემო, პარტიების სტრატეგია, კეთებოდა პროგნოზები.

გაზეთების უმრავლესობა თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდა. გამოცემების ერთ ნაწილში ნეიტრალური დამოკიდებულება შეინიშნებოდა „პარტიოტა ალიანსის“, „ქართული იდეის“ და „ქართული მარშის“ მიმართ.

გაზეთების ერთ ნაწილში ისევ გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის ფაქტები: შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია რესპონდენტთა განცხადებების გარდა, ჟურნალისტთა ტექსტებშიც ხშირად გამოიყენებოდა. თუმცა, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით თითქმის აღარ გვხვდებოდა შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული შინაარსის ფოტოები.

გაზეთების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად კვლავაც დაუბალანსებელი და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება რჩება. ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ პოლიტიკოსის მისამართით წაყენებული ბრალდებები გადამოწმების გარეშე მიეწოდებოდა მკითხველს, ხოლო ჟურნალისტების მიერ გამოთქმული კრიტიკა და მწვავე კითხვები მიკერძოებული და სუბიექტური უფრო იყო, ვიდრე ფაქტებით გამყარებული.

გაზეთების უმრავლესობა მკითხველს კვლავაც ერთ წყაროზე დაყრდნობით მომზადებულ მასალებს სთავაზობდა, რაც ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე განხსვავებული მოსაზრებების გაცნობის საშუალებას არ იძლეოდა.

